ეროვნული ბიბლიოთეკა

## დამარცხებული და გამარჯვებული პარტია.

დამფუძნებელ კრების არჩევნებში ეროვნულ დემოკრატიული პარტია დამარცხდა; ოცდაათი დეპუტატის მაგიერ მან ძლივს 8 დეპუტატი გაიყვანა.

ეხლა ყველასათვის გასაგებია თუ რა მიზეზით დაემართა ასეთი მარცხი ეროვნულ დემოკრატიას. ორი მიზეზია—პარტიის დაყოფა და განახლებულ გაზ. „საქართველოს" მენშევიკური მიმართულება. პირველმა გააძლიერა არა სოციალისტურ წრეების აბსენტეიზმი, მეორემ კი აიძულა პარტიის თანამოაზრეებს ხმები პირველ ნომრისთვის მიეცათ, რადგან ბევრმა ქიქოძის მეორე ნომრის მენშევიზმს ჟორდანიას პირველი ნომრის მენშევიზმი ამჯობინა.

ასეთი ბრწყინვალე შედეგები მოუტანა პარტიას მის მთავარ კომიტეტის უკანასკნელ 5 თვის თვითნებურ და ლაჩრულ პოლიტიკამ. ამ პოლიტიკისავე წყალობით საქართველოს დამფუძნებელ კრებიდან დრჟებით გაირიყა ის ჯგუფი, რომელიც ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას სოციალისტებთან ბრძოლის დროს ოპოზიციონურ სულს მუდამ უდგამდა, გაბედულად და მტკიცედ იცავდა პარტიის და ქვეყნის მართვაში სახელ-წიფოებრივ პრინციპებს და ტრადიციებს.

დღეს საქართველოს პირველი დამფუძნებელი კრების მემარჯვენე სექტორს ფრთა მოსტეხია.

დამფუძნებელ კრებას ოპოზიცია არ ეყოლება. ასეთ ოპოზიციად ვერ ჩაითვლება ის ორიოდე ეროვნულ დემოკრატი, რომელიც თუ გაბედავს ოპოზიციის ცეცხლის დანთებას „კუდიანი" კალმების ნიავ-წყლით გადასხმული წამსვე ჩაქრება.

ეროვნული ოპოზიცია ფერფლად იქცა. და ამ ფერფლისათვის შებერვა და განიავება არვის გაუჭირდება.

---

სამაგიეროდ დაინთო ცეცხლი სოციალიზმისა. სოციალ-დემოკრატიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. მეხაკუთრე სოფლის გლეხთა ქვეყანამ სავსებით ანდო თავის ბედი ქალაქის სოციალისტ მუშათა პარტიას.

ამ დღიდან დამფუძნებელი კრება ქვეყანას აღარ შეაწუხებს აღარც კამათით ქვეყნის დიდ საკითხების გარშემო, აღარც ოპოზიციის კრიტიკით, აღარც მის მრისხანე შეკითხვებით. მკვდარი სიჩუმით მოცულ დარბაზში სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას 107 წევრი ინსტიტუტკებისავით უსიტყვოდ, რევერანსულ ბუქნით დაუხვდებიან მთავრობის გამოსვლებს და დღეში 23 დეკრეტს მიიღებენ.

ამიტომ ძალიან მალე ვხედავთ იმ სანატრელ დღეს, როდესაც მენშევიკური პროგრამა სავსებით განხორციელდება: როდესაც ბედნიერი ქართველი გლეხკაცობა ჩაიბარებს საკუთრებად სხვის საკუთრებას „მაგარ ფასებში" ბ-ნ ხომერიკის კალმის წვერის ერთის მოსმით, როდესაც საქართველოს ხაზინა აივსება უცხოელების ფულით და გავლენით, როდესაც შეიქმნება სოციალისტური ძლიერი ჯარი, როდესაც დამკვიდრდება საქართველოს მტკიცე საგარეო პოლიტიკა ცნობილ ერთგულ და მეგობარი სომხეთის დახმარებით და წყალობით. ეს პოლიტიკა მართლაც არ საჭიროებს ოპოზიციას, არ საჭიროებს არც შესწორებების შეტანას... იმდენად იგი მარტივია და უნაკლო.

განმარტოვებულ სოციალ-დემოკრატიას ეხლა „ალარავინ დაუშლის" ამ მარტივ და უნაკლო გეგმის განხორციელებას. ამ გაზაფხულს გადიშლება და გადიფურჩქნება სოციალისტური მართველობის ნიჭი.

დ. კახელი.

## ღია წერილი სამს ნოეს

(ბ-ნ ჟორდანიას, რამიშვილს და ხომერიკს).

ბატონებო! თქვენ და თქვენმა პარტიამ „ბრწყინვალედ" გაიმარჯვა. თუ პიროსი ამბობდა: კიდევ ერთი ასეთი გამარჯვება და არც ერთი ჯარისკაცი არ „დამრჩება", თქვენ თამამად შეგიძლიანთ სთქვათ: ერთი ამისთანა გამარჯვებაც და არც ერთი ჯარისკაცი და არც სარდალი „მტერს" აღარ ეყოლება.

თუ კი შეგიძლიანთ, თქვენ შეგიძლიანთ სთქვათ, რომ მთელმა საქართველომ, როგორც ერთმა კაცმა, თქვენ მოგანდოთ თავისი ბედი „თავისუფალი" არჩევანით და ამას გამართლება უნდა.

ჩვენ, ბავშვობიდან მეოცნებენი საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზედ, არა მარტო გამოუსადეგარნი აღმოჩნდით მის რეალურ განთავისუფლების დროს, არამედ მავნებელნიც, როგორც ირკვევა, ვინაიდან ქვეყანამ „უნდობლობა" გამოგვიცხადა. მაგრამ ხომ ჩვენც გვაქვს თვალნი—ხედვად, ყურნი—სმენად და გონება იმდენი, მივხვდეთ, რომ ყველაფერი ისე კეთილად არ არის ჩვენს ქვეყანაში და მის გარშემო, როგორც ეს უნდა იყოს იმ „ერთსულოვნობის" და ერთპარტიად ქმნილ მდგომარეობაში, როგორც გარეგნულად არის. ქვეყანა ირღვევა შიგნიდან იმ ალვირ—ახსნილ ცარცვა-გლეჯისაგან, ავაზაკობისაგან, რომელიც ხარჯავს უკვე დაგროვილს სიმდიდრეს, ავალიანებს ქვეყნის მერმისს და არაფერსა ჰქმნის. სოფლის მეურნეობა დარღვეულია, ფინანსიური სისტემა სრულიად უნიადაგო და ყოველ დღეს მოაქვს უალრესი და უალრესი სიძვირე და აუტანელი მდგომარეობა. ეკონომიურად მივექანებით უფსკრულისაკენ და კატასტროფა გვიახლოვდება. რას ფიქრობთ თქვენ?

ჩვენს ვიწრო საზღვრებს გარედ, გაუთავებელი ალტყინება სხვადასხვა გვარი ენერგიისა, რომ მოგვსპონ ფიზიკურად, პოლიტიკურად, ტერიტორიულად და თვე არ გასულა ისე, რომ თქვენი სოციალისტური და „კაცთმოყვარული" პოლიტიკის მიუხედავად, ომი არა გვქონოდეს ან სომხებთან, ან რუსებთან, ან თათრებთან; არ დაგვეკარგნოს საზღვრების ბედი ბორჩალოში, სოხუმში, ახალციხეში და სხ.

ასე ირღვევა ჩვენი სამშობლო შიგნიდან, ასე ირღვევა გარედან და მაშინ როდესაც გარეგნულად მთელი საქართველო ერთ მძლავრს ერთსულოვნობას გამოხატავს არჩევნებში, ფაქტიურად მისი მაჯის ცემა, როგორც მთლიანი ორგანიზმისა, უკიდურესობამდე დასუსტებული, დაავადებულია.

ასეთ მდგომარეობაში გვიახლოვდება ჩვენ დამოუკიდებლობის წლისთავი, გვიახლოვდება გაზაფხული, როდესაც იფეთქებს ხოლმე არა მარტო ბუნების ძალა, არამედ ცოცხალ ადამიანებისაც და ჩვენი სახელმწიფო იმ ფაქტის წინაშე იქნება, რომ ყველა მხრიდან სამტროდ გამოწვდილ მახვილს წავეჩხებით. უკვე ისმის ჩხარუნი იარაღისა—სომხეთისაკენ, ადარბადაგანისა და ლეკებისაკენ, არ შეწყვეტილა რუსეთისა და ოსებისაკენ და სხ. და სხ. პატარა და დიდი მტრები, სისუსტეს ჩვენსას რომ ხედავენ, თამამდებიან და წლის თავსათვის თავს აიწყვეტენ.

აქამდის თუ ცოტაოდენი მოიდება მაინცა ჰქონდათ ხან გერმანელებისა და შემდეგ მოკავშირეებისა, ამას იქით ჩვენს საკუთარ ძალასა და თავს ლა უნდა დავენდოთ (მეტადრე თუ მოკავშირეების საქმე რუსულ გერმანულის გზით წავიდა, რაც ადვილი მოსალოდნელია). საერთაშორისო კონფერენცია, თუნდაც მიაღწიოს და სახელმობითაც გადასწყვიტოს ჩვენი დამოუკიდებლობის და საზღვრების ბედი,—ვერაფერს გვიშველის, თუ მის გადაწყვეტილებას წინ უსწრო, ან უკან მოჰყვება ჩვენი ფიზიკური განადგურება შიგნიდან და გარედან.

სამშობლო განსაჭირშია და გრძნობთ, ან ხედავთ იმას, თუ არა? და თუ ხედავთ, რას აპირებთ?

ამ დღეებში შეიკრიბება დამფუძნებელ კრება,—იგი თქვენი და თქვენი პარტიის შინაური ყრილობაა ხომა, ალარავინ შეყოლება მოწინააღმდეგე და „ხელის შემშლელი" და ნუთუ ეხლაც არ დაანებებთ თავს წაკე-უკუჯეკობას ჯარისა და ადმინისტრაციის საქმეში? ნუ თუ ეხლაც დემაგოგიისა და პოპულარობის გამო, არ შესცვლით გამრყვნელ ფულის მბეჭდავ სისტემას ფინანსებისას? ნუ თუ არ განამტკიცებთ ერთად-ერთ ორიენტაციას,—ორიენტაციას საკუთარი ერისას, შინაგანი ძალების მოკრებისას და ძველებურად მიეხვეთქებით და მიახეთქებთ საქართველოს ბედს იქითკენ, საიდგანაც ქარი და ტალღა მიგაგდებთ? ნუ თუ „უმცირეს წინააღმდეგობის პარტიიდან (партія наименьшаго сопротивленія), როგორც იხუმრობენ თქვენზედ, თქვენ ეხლაც არ გადაიქცევით „მტკიცე კურსის" პარტიად, რომელიც იზრუნებს არა მარტო „პარტიულ კაპიტალზედ", თქვენი გაცვეთილი ლექსიკონით რომ ვილაპარაკოთ, და „ამხანაგების" გამდიდრებაზედ სხვა და სხვა საშუალებით,—არამედ სამშობლოს, მთლიანი საქართველოს განმტკიცება ხედაც იფიქრებთ რამე?

რ. გაბაშვილი.

## ზავის საკითხი.

კაცობრიობა არასოდეს არ მდგარა ისეთ მწვავე საკითხის წინაშე, როგორც არის, 4 წლის უმაგალითო ომის შემდეგ ზავის საკითხი.

მართალი იყო ჰინდენბურგი, როდესაც ამბობდა, რომ ზავის საკითხი ეს ნაზი ყვავილია, რომელიც ვერ იტანს უდროოდ ტლანქ ხელის შეხებასო.

ბევრს ეგონა, რომ გერმანიის დამარცხებით, დადგებოდა დრო ამ ნაზ ყვავილის გადაფურჩქვნისა, მაგრამ ეხლა ეს ც საეჭვო ხდება.

ოთხ თვეზე მეტია და ჯერ თვით ის სახელმწიფონი, რომელთაც ბრძოლით წილად არგუნა გამარჯვება, ვერ შეთანხმებულან ზოგიერთ მთავარ საკითხებში გერმანეთის მიმართ.

ჩვენ ვიცით რა ხანგრძლივი და ცხარე კამათი გამოიწვია პარიზის კონფერენციაზე გერმანეთისადმი სურსათის მიწოდის საკითხმა მაშინ, როდესაც ამერიკიდან ევროპაში „ლამაზ იდეებით" ახლად მოსული ვილსონი მოძხრეა, რომ გერმანეთს აანაზღაურებინონ მხოლოდ ის ფაქტიური ზარალი, რომელშიაც მას ბრალი მიუძღვის,—ინგლისი და გერმანეთთან ყველაზე უფრო ახლოს მყოფი საფრანგეთი მოითხოვენ გერმანეთის სასტიკ დასჯას. გამარჯვებით დაბრმავებულთ არ ჰსურთ რომ გერმანეთს კვლავ დაუტოვონ რამე, გარდა „საკუთარ თვალებისა თავიანთივე უბედურების გამოსატირებლად".

ასეთი წინააღმდეგობა მოკავშირეთა შორის საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მას კავშირი აქვს იმ საერთო დებულებებთან, რომელთაც იმუშავებს პარიზის კონფერენცია.

საყურადღებოა, რომ თვით ხალხთა ლიგის დაარსებას მოკავშირენი სხვადასხვა გვარად უყურებენ, მაშინ, როდესაც ინგლისის გეგმა მოითხოვს, რომ საერთაშორისო კონტროლს დაემორჩილოს მნიშვნელოვანი რკინის გზები, ზოგიერთი სრუტეები, პორტები და ქვეყნები,—ფრანგებს სრულიად არ სწამთ ლიგის განხორციელება. მართალია საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიშონმა ჯერ ისევ დეკემბრის დამლევს განაცხადა, რომ ჩვენ მივიღეთ ეს პრინციპი და ვმუშაობთ მის სინამდვილეში მტკიცედ გატარებისთვისო, მაგრამ შემდეგში ნათლად გამოირკვა, რომ მას რეალურ მნიშვნელობას არ აძლევენ. მათ სწამთ, რომ ასეთ საშუალებით ვერასოდეს ვერ დაიცავენ აწინდებურად თავიანთ ტერიტორიას თუ დამოუკიდებლობას.

მართალია ლიგის წესდება უკვე მიღებულია, მისი მიღების დღე ამერიკამ მსოფლიო შაიტიანეს ოქროს დღედაც აღიარა, მართალია ვილსონი საიმპერატორშიაც კი ფიცსა სდებს, რომ არ დაბრუნდება ევროპიდან ვიდრე არ შეასრულებს ამერიკის მისიას, ე. ი. ვიდრე არ დაამყარებს მკვიდრ ზავს მთელს მსოფლიოზე, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ამ შემთხვევაში, შესაძლოა ეს იმედი კვლავ გაუცრუვდეს ვილსონს.

მოსალოდნელია, რომ ინგლის-საფრანგეთის დიპლომატთა ცივი გონება მსხვერპლად შეიწირავს ვილსონის „უბიწო სულის" (კლემანსოს სიტყვებით რომ ვსთქვათ) ლამაზ იდეის. ტყუილად მოვიტყუებთ თავს, თითქმის ჩვენ მალე მთელს ქვეყანაზე მკვიდრ ზავს ველირსებოდეთ.

ინგლის—საფრანგეთი ისეთ აუტანელ პირობებს ჰქმნიან გერმანეთისათვის, რომ მოსალოდნელია ამის მწარე შედეგები თვითვე იგემონ: შესაძლოა უსაზღვროდ გასაჭირმა გერმანეთი ბოლშევიკურ რუსეთთან შეაკავშიროს ეს კი დიდი საფრთხეს განუმზადებს ევროპას. შესაძლოა ამ საფრთხის ჩანასახი მოსკოვის მე-3, ინტერნაციონალში აღმოჩნდეს ამ საფრთხისა, რასაკვირველია, ეშინიათ პარიზის კონფერენციის წევრებს. ამიტომ არის, რომ ვილსონიც აღარ რჩება ამერიკაში და კვლავ მოისწრაფის კონფერენციაზე.

ს. იორდანიშვილი.

## სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკა.

I.

საქართველოს საკუთარი რევოლუცია არა ჰქონია და პეტერბურგიდან დეპეშით მიღებული გადატრიალება, რასა თქმა უნდა, ვერ გამოიწვევდა იმ ენტუზიაზმსა და შინაურ ძალთა ძლიერების გამოჩინებას, რაიც ხდება ყველა იმ ქვეყანაში, საცა რევოლუცია ხდება შინაგან ძალთა განვითარებით. მაჯისცემა ჩვენში მომხდარ ამბებისა მით უფრო უფერული, იყო, რომ თვით რუსეთის რევოლუცია შედეგი იყო მისი სისუსტისა და დამარცხებისა მხოლოდ და არა გადმოხეთქვა იმ ძალთა, რომელნიც ვერ ეტეოდნენ დრომოჭმულ რეჟიმის კალაპოტში.

ამით აიხსნება ისიც, რომ მხოლოდ პირველმა საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ გამოიწვია ეროვნული აღფრთოვანება და 1917. წლის ნოემბრისთვის 19 უდიდეს დატათ გადაიქცა საქართველოს ისტორიაში.

ამ ყრილობაზედ, რომლის შექმნაში ბევრი „არა სოციალისტური" ფაქტორი მონაწილეობდა, პირველად შეიყარა ქართველი ერი სრულიად თავისუფლად, ძალდაუტანებლად, რომ გამოეთქვა თვისი ეროვნული სურვილი. ეს არ იყო მარტო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობა, არამედ წარმომადგენლობა საქართველოს ყველა ცოცხალი ძალების, ქალაქების, საზოგადოებათა, პოლიტიკურ პარტიათა, წოდებათა, კლასთა და სხ.

ამ ყრილობის სხდომები და აქტები არ იყვნენ, შესაძლებელია, ისეთი იურიდიული და საერთაშორისო მნიშვნელობისა, როგორც შემდეგები, მაგრამ იგი ერთადერთი სწორი გამომხატველი იყო საქართველოს თავისუფალი შინაგანი კავშირისა და ძალთა წონასწორობის. ნახევარზე მეტი ყრილობისა ეკუთვნოდა არა სოციალ-დემოკრატიას და არა სოციალისტებს... ეროვნულმა თანხმობამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ იმ ერთიანდეგ ბოლშევიკს ბ-ნ ვ... უთქვამს: „მე მუსიკაში დისონანსი მიყვარს და ... თანხმობა არ მესიამოვნებაო".

ასეთი სიყვარული დისონანსისადმი, ბ-ნ ჯუღელის მუსიკალურ-პოლიტიკურ მრწამსად გარდაიქცა ჩვენ განუვითარებელ დემოკრატიას და იმ ყრილობაზედვე დაიწყო ნაძალადევი „კომბინაციები" თითქო ეს სისხლი და ხორცი იყოს ყოველგვარი უფლებისა: თუმცა ყრილობის შემადგენლობა პროპორციულად სულ სხვანაირად იყო წარმოდგენილი, არჩეულ საბჭოში დიდი უმრავლესობა სოციალისტებს დარჩათ და ნახევარზე მეტი სოციალ-დემოკრატებსა. ეს პირველი ძალადობა იყო, რომელსაც სათანადო წინააღმდეგობა არ გაუწიეს სხვა ჯგუფებმა და პარტიებმა,—ერთის მხრით თავისი პოლიტიკური მოუმზადებლობისა გამო და მეორეს მხრით იმავე მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც ყველაფერში უთმობდნენ სოციალ-დემოკრატიას, ოღონდ ეროვნული, ნაციონალური ნაბიჯი რამ გადაედგმევინებინათ.

ამ მიზანს,—გარკვეული ეროვნული ნაბიჯის გადადგმას—საქართველოს წარმომადგენლობამ მიაღწია აშკარად—თვით ყრილობის მოწვევის ფაქტით და ეროვნულ საბჭოს ამორჩევით, მაგრამ ამ პირველ ხარისხოვან მიღწევას შეეწირა სწორ—წონაზა ძალთაგანწყობილებისა. არა სოციალისტურმა—ინტელიგენციამ, აქაც როგორც ყველგან დასთმო თავისი კერძო ინტერესები—საზოგადო ეროვნული ინტერესებისათვის, ეროვნული მთლიანობისათვის. და სოციალ-დემოკრატიამ სამადლობელი გადაუხადა იმით, რომ შემდეგში თანდათან სულ გადააყენა ცხოვრებიდამ და ყველაფერს თვითონ ჩაებღაუჭა ვითომდა ხალხის სახელით.

მეორე დიდი აქტი საქართველოს ისტორიისა, რომელსაც პოლიტიკური და საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს უფრო, ვიდრე შინაური სიმტკიცისა მოხდა 26 მაისს 1918 წ. როცა ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა. ეს იყო მრავალმხრივი ძალდატანების აქტი და არა თავისუფალი არჩევანი თავისუფლების მოყვარული ხალხისა, რომელმაც ბრძოლით მიაღწია საწადელს და ამიტომ ამ ფაქტმა უფრო ნაკლები სიხარული და ეროვნული ენერგიის აღტყინება გამოიწვია, ვიდრე პირველმა ეროვნულმა ყრილობამ.

ერთის მხრით, დამარცხდა სოციალ-დემოკრატიულ შინაური პოლიტიკა და მათგან შეთხზული ამიერკავკასიის სახელმწიფო ძველი ჩვარივით დაირღვა, მეორეს მხრით დამარცხდა მათი საგარეო პოლიტიკაც და თანხმობისა და სოლიდარობის მაგიერ, ყველა მხრიდან მტერი მოგვევლინა. ამ დროს, სოციალ დემოკრატიამ, მიუხედავად იდეიური და ლოღიკური წინააღმდეგობისა, მიუხედავად იმისა, რომ მთელს თავის არსებით სთრგუნავდა ჩვენს მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი და ამას ეძახდა ლოღიკურ რუსეთისას და საქართველოს ხალხისას,—გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რომ სადავე უფლებისა, ერთხელ ხელში ჩაგდებული, არ გაეშვა ხელიდამ.

ამ რიგად, თუმცა ეროვნულს ყველაფერს ჰგმობდა სოციალ-დემოკრატია, იგი იძულებული იყო ეროვნულ გზას დასდგომოდა, თუ არ უნდოდა და დაეკარგნა ძალა-უფლება და გავლენა, თუმცა ქვეყანა გამოაყრუა ეროვნების გაწბილებით და ინტერნაციონალიზმის განდიდებით. ამტკიცებდა, რომ ამიერკავკასიის გამოყოფა რუსეთიდან დემოკრატიის დამარცხება იქნებაო, დემოკრატიული ფრონტის დარღვევა და ჩვენში (ამიერ-კავკასიაში) რეაქცია გაიმარჯვებსო, მაგრამ ამიერკავკასია ჩამოშორდა თუ არა რუსეთს, ჩვენი დემოკრატია უფრო გამაგრდა და ბრძანებელი გახდა მთელი ამიერკავკასიისა. შემდეგ თმის გლეჯით ამტკიცებდა რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შეუძლებელია, რადგან მაშინ დემოკრატია დამარცხდება და ფეოდალები გაიმარჯვებენო, მაგრამ საქართველოც ჩამოშორდა ამიერ-კავკასიის ხუხულას და დემოკრატიას ჩვენში კიდევ უფრო მეტი ძლიერება შეემატა. ამ გვარად, რამდენიც მეტად მარცხდება ყველა წარმოდგენა და იდეა სოციალ-დემოკრატიისა, იმდენად მეტ „ძლიერებას" ეწაფება იგი ფაქტიურად რეალურ ცხოვრებაში. და შემდეგაც ასე იყო, რადგან თეორიულად ყველაფერში გამტყუნებული და საფუძველ გამოცლილი, სოციალ-დემოკრატია მით უფრო მეტ ენერგიას და მხნეობას იჩენს უფლების, ძალის ეკონომიკის ხელში ჩაგდებისათვის და რამდენადაც მეტ ჰყვირის პრინციპებზედ, იმდენად მეტს უკუაგდებს პრინციპებს და ყველა საუკუნოებისათვის ჩვეულებრივი უზურპატორობით იპყრობს ამა ქვეყნიურ კეთილ-ცხოვრებიანობას.

გ

რაჟ.

## საით მიდის კაცობრიობა.*)

გავიდა ცხრამეტი საუკუნე მას შემდეგ, რაც იესო ქრისტეს სწავლამ კაცობრიობა გარდაქმნა და დაამყარა ის ცივილიზაცია, რომლის მოწმენი დღეს ჩვენ ვართ. ამ დღიდან, გაფთრებული ბრძოლას წარმოებს აზროვნებათ შორის; ყოველი ისტორიული საფეხურები განიზომებიან უთვალავი ომებით და სისხლის ღვრით. მიუხედავათ არსებულ ცივილიზაციისა და პროგრესისა ადამიანი ერთ იოტა არ შეცვლილა. მასში დღესაც ის პირველყოფილი ადამიანია, რომელიც ხასიათდება ბუნებრივი ეგოიზმით და კერძოობით. იესო ქრისტეს, მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში, ძლიერი მოსარჩლე „სოციალიზმი" გაუჩნდა კაცობრიობის გარდამქნაში. თუ პირველი ამ ქვეყნიერათ არსებულ მდგომარეობას არ ეხებოდა (ე. ი. ქონების მხრივ) მეორე კი ამ გზით მიისწრაფის და სურს გარდაქმნას ადამიანი იმ რიგათ, რომ მან უარჰყოს მისი საკუთარი „მე" თვისი ატრიბუტებით ე. ი. საკუთრებით და გასოციალისტდეს. ასეთი გამწვავებული სახით, კაცობრიობამ მეოცე საუკუნეს მიაღწია და 1914 წელს იმპერიები ერთი მეორეს დაეტაკნენ. ჩვენ ვიცით, რაოდენი დაგროვილი ქონება, უანგარო სისხლი და ენერგია იმსხვერპლა ომის ღმერთმა. ხოლო ჩვენგანმა ყველამ როდის იცის ის, რომ ეს ომი ჯერ არ გათავებულა და მისი სიმწვავე უფრო დიდია ეხლა, ვიდრე წინეთ იყო. სოციალისტური ქადაგება და სოციალისტური ექსპერიმენტები უფრო იქ გამაგრდა, სადაც ნაკლები განვითარება და ზედმეტი სიღარიბე იყო ხალხის. რუსეთში ბოლშევიზმის სახით სოციალიზმი გამა...

*) ზოგიერთ საკითხში რედაქცია არ იზიარებს ავტორის შეხედულებას.

## ფელეტონი.

## სოციალისტური რესპუბლიკა

გერმანიის რაიხსტაგის წევრის

რიხტერის კრიტიკა

თავი XXVI

არჩევნების შედეგი

ასეთ მწუხარებაში მთელი პოლიტიკა უცხოთა და უფერულათ გეჩვენება, როდესაც აწმყო ღრმა მწუხარებით გტანჯავს, ზრუნვა უფრო შორეულ მომავალზე უფერულია.

ფრანცი მართალი გამოდგა არჩევნების შედეგის შეფარებაში. ის უკანასკნელ წერილში იწერებოდა, რომ საზოგადოებაში, რომელშიაც აღარ არსებობს პირადი და ოჯახური თავისუფლება კერძო ადამიანისა, ვერც თავისუფალი ფორმა მმართველობისა მისცემს საშუალებას პოლიტიკურ დამოუკიდებლობის გამოსაჩენათაო. ვინც ასე დამოკიდებულია მთავრობისაგან ყოველს თავის პირადულ ცხოვრებაში, როგორც ეხლა ჩვენა ვართ, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გამოიჩენს გმირობას მთავრობის სურვილის საწინააღმდეგო არჩევნები მოახდინოს თუნდაც საიდუმლო ბარათებით. პოლიტიკურ უფლებას ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ საზოგადოების წესწყობილებაში ისეთივე ცოტა მნიშვნელობა აქვს, როგორც ჯარის კაცთათვის ყაზარმებში და პატიმართათვის ციხეში.

ეს მართალია. მთავრობის პარტიამ, თითქმის უშრომლათ (საკმაო იყო რამდენიმე მეთაურის თავისუფლებისა და „ახალგაზრდათა" პარტიებიდან გადაყვან გადმოყვანა) მიიღო ორ მესამდზე მეტი მთელი საარჩევნო ხმისა, მიუხედავათ იმისა, რომ უკმაყოფილონი უფრო მეტნი არიან, ვიდრე კმაყოფილნი.

მე თითონ, მიუხედავათ შავბედისაგან მოყენებულ უბედურებისა, წინააღმდეგ ჩემის წინანდელ განზრახვისა, მთავრობის პარტიას მივეცი ხმა. რა დაგვემართებოდა, ამ მდგომარეობაში მყოფნი, რომ სხვაგან სადმე გადავეყვანეთ და ამით განვეშორებოდით ერთმანეთს მე და ჩემი ცოლი.

საკვირველია, რომ სოფლად, საცა უფრო მეტი უკმაყოფილოა მთავრობით, უმეტესობამ მას მისცა ხმა. მართალია, უფრო ქარაფ მოსახლეობაში, საცა შესაძლებელია მეტის გულმოდგინებით კონტროლის მოხდენა, ვიდრე მჭიდროთ დასახლებულ ქალაქებში, სოფლებში კიდევ უფრო ფრთხილად არიან თავიანთ ოპოზიციონურ მიდრეკილების გამოჩენაში, გარდა ამისა, თვით მოუსვენარ ოლქებშიაც კი საშიშარი გავლენა იქონია უკანასკნელ როების სამხედრო ზომების მიღებამ.

თვითონ ბერლინში მთავრობის პარტია უმცირესობა დარჩა. რადგან ბერლინი, არჩევნების პროპორციონალურ სისტემის მიხედვით, მხოლოთ ერთ საარჩევნო ოლქს წარმოადგენს, ამიტომ უმეტესობა ბერლინის ოპოზიციონურ დეპუტატებისა თავისუფლების პარტიას ეკუთვნის. „ახალგაზრდებმა" ვერ გაიმარჯვეს. მიუხედავათ იმისა, რომ ქალთა პარტია საყოველთაო ქორწინების უფლებისა ძალიან ეხმარებოდა ამ პარტიას, მხოლოდ ერთი კანდიდატის გაყვანა მოახერხეს. ეტყობოდა ხალხში არსად არა სჩანს მიდრეკილება სოციალ-დემოკრატიულ სახელმწიფოს წყობილების მომავალ გაუმჯობესებისა და განვითარებისა, ის ერთად ერთი დეპუტატიც „ახალგაზრდათა" პარტიიდან მხოლოდ იმიტომ იქმნა არჩეული, რომ თავისუფლების პარტიამ საჭიროთ დაინახა მხარი დაეჭირა მისთვის არჩევნებში, რადგან იგი ენერგიულად ებრძოდა მთავრობას.

თავისუფლების პარტიამ, ანუ თავისუფლების შეგობრებმა მთელს მხარეში თითქმის ერთი მესამედი მიიღეს მთელის ხმებისა. მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობის პარტია ყოველნაირათ ცდილობდა სახელი გაეტეხნა იმისთვის, როგორც საზოგადოებრივ წესიერების დამრღვევ და ძირის გამომთხრელ პარტიისათვის. სიმართლე რომ სთქვას კაცმა, პარტიამ არსებითად ამ გამარჯვებაში.

უნდა უმადლოდეს ამრჩეველ—ქალებს, რომელნიც საზოგადოთ არჩევნებში უფრო მეტ აქტიურ მუშაობას ეწეოდნენ, ვიდრე მამაკაცები და არც ფარავდნენ თავის გულისწყრომას სახელმწიფოს მდგომარეობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით შინაურ კერძო ცხოვრების შეზღუდვის გამო.

განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შემოღებულ იქმნა ერთის დღის წინათ გაფრთხილება განქორწინების მოსახდენათ, დიდმა რიცხვმა მიტოვებულ ცოლებისამ საგანგებო მოქმედება გამოიჩინა არჩევნების დღეს, ანაწილებდა საარჩევნო ბიულეტენებს, და საარჩევნო ყუთებთან მიჰყავდა ბევრი ზარმაცი ამომრჩეველი.

ქალთაგან მხოლოთ ერთია არჩეული რეიხსტაგში, სახელდობრ ახალი რეიხსკანცლერის მეუღლე. ეს მანდილოსანი მთავრობის პარტიაში არ რიცხავს თავის თავს, არამედ „ველურს" ირქმევს. თავის სიტყვით ამრჩევლების წინაშე იგი ამტკიცებდა, რომ როგორც დაჩვეულია ეხლა თავის შინაურ ცხოვრებაში და წინანდელ თავის ქმრებთან, ეხლაც ისე დაუფარავათ და თავისუფლად ილაპარაკებს სიმართლეს რეიხსტაგში, თუ მისის რწმენით ამას მოითხოვს ხალხის ინტერესი. მთავრობის პარტიამ შესაძლებლად ვერ დაინახა ბრძოლა გაეწია ამ არჩევნებში რეიხსკანცლერის ცოლის წინააღმდეგ ერთი იმიტომ რომ ზრდილობა იხმარა და მეორეც იმიტომ, რომ ამ არჩევნებით ცხადათ დაემტკიცებინა ქალთა გათანასწორება მამაკაცებთან.

ფლა; მან საშინელი ბრძოლა გააჩაღა კერძო საკუთრების წინააღმდეგ. ჩვენში როგორც პატარა ქვეყანაში, „მენშევიზმი“ გამაგრდა და ჩვენ მოწმენი ვართ მათი იდეური და პრაქტიკული ბრძოლისა. მაგალითად: სარწმუნოების საქმეში; მთელი მაჰმადიანი საქართველო აგვიბუნტდა და მიწის საკითხში საბედისწერო სისხლის ღვრას ვაწარმოებთ ჩვენ უფროს ძმასთან. მათი ისტორიული „ფონდი“ დიდხანს წარუშლელი დარჩება საქრისტიანო და სამაჰმადიანო ქართველობისათვის, როგორც საუკეთესო „ნიმუში“ მათი მოღვაწეობისა. ამ ბოლო ხანს გერმანეთიც დამარცხდა და გაილია, იქ გადავარდა ალი სოციალიზმის და სპარტაკთა ქვეყნად გაჰხდა. ჩვენ არ გვსურს თვალები აგიხვიოთ და უარვყოთ ის, რომ ეს მოძრაობა ძირითადათ სოციალისტურია...

დღეს ყოველგან გაცხარებული ბრძოლაა გაჩაღებული. მართლაც რუსეთში, სოციალისტური ექსპერიმენტი უმაღლეს წერტილამდის ავიდა; იქ ბოლშევიზმმა დაგვანახა პრაქტიკულათ თუ, რამდენათ შესაძლებელია ადამიანის გასოციალისტება. ამ ცივ ქვეყანაში სოციალიზმი გაიყინა და ზნეობრივათ მოჰკვდა, ხოლო პრაქტიკულათ ხალხს ჯერ ვერ ჩამოუფერთხია უზურპატორები, რომლების ხელთაა ის უშველი ძალმომრეობა, რომლის წყალობით ძველი იმპერიალისტური რეჟიმი ბატონობდა. ჩვენშიც ხალხი დამარცხებულია გონებრივათ: მათ ქალაქის მინუშები შერჩათ და კიდევ რევოლუციის მონაპოვარი სოც.-დემოკრატები. ჩვენ გვრწამს ის გარემოება, რომ გამარჯვებულ ქვეყნებშიც მოივლის ტალღა სოციალიზმის. ვატერლოოს არ იყოს, თუმცა ნაპოლეონი დამარცხდა, ხოლო სთქვეს—ასეთი დამარცხება გამარჯვებას უდრისო —ჩვენც ვიტყვით, მოკავშირეების გამარჯვება დიდ დამარცხებას უდრის: საფრანგეთი სისხლით და ქონებრივათ დაიცალა; იტალეთიც და ზოგადათ ინგლის-ამერიკაც. ეჭვს გარეშეა სადაც მატერიალურად ხალხი ქვეითდება, არეულობა იმ ქვეყნებში მოსალოდნელია და იდეათა ინტესიური დუღილი წყებულებს. დიაღ, დიადია ეს ბრძოლა, ხოლო ჩვენ გვწამს უეჭველი გამარჯვება. იდეა და შინაარსი კერძო საკუთრებასა ადამიანის მეორე ადამიანობაა. ჩვენ დაბეჯითებით ვამბობთ, რომ ამ დიად ბრძოლას მოაქვს ჩვენი იდეების განმტკიცება და გაკანონიერება. ბურჟუაზიული წეს-წყობილება უნდა განთავისუფლებულიყო მძიმე ბორკილებიდან და დღეს ეს ბორკილებიც იმსხვრევა. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ პარციალურათ დაამხო ფეოდალური წეს-წყობილება. ძველმა ფეოდალიზმ იმპერიალისტურ ქურქში გაეხვია და შეუღლებულმან კაპიტალთან იმპერიალიზმით მოევლინა კაცობრიობას. იმპერიალისტური მისწრაფება ერების უდიდესი დაბრკოლება იყო ბურჟუაზიულ წეს-წყობილების განმტიცებისა: ის ელობებოდა მას და ჰქნიდა ათასგვარ დაბრკოლებას; მას ვეფხვის კლანჭებში ჰყავდა მომწყვდეული ბურჟუაზიული სულის კვეთება და გასაქანს არ აძლევდა დღეს ეს იმპერიალიზმი საყოველთაოდ მარცხდება; წვრილი მესაკუთრეობა თავისუფლდება და ახალი ერა იწყება. ხალხთა ლიგა, ეს ახალი ერაა კაცობრიობისა. იგი შინაარსით ბურჟუაზიულია და კერძო საკუთრებაზედ აღმოცენებული როდესაც ტალღა ახალი რევოლუციისა მოივლის და ხალხი ჩაგდება ბუნებრივ კალაპოტში, მაშინ ძლიერდება კერძო მესაკუთრეობა. მძლავრი გამოვა და დაამარცხებს ორ უკიდურეს მოვლენას: იმპერიალიზმს და სოციალიზმს ამ ორი უმცირესობის ბატონობას. თუ პირველი დამყარებული იყო პრივილეგიურ ელემენტებზე, მეორე კი ემყარება იმ კლასს, რომელმაც დაჰკარგა სოციალური უნარი ქონების შეძენის და დაგროვების, სახელდობ პროლეტარზე. პირველიც და მეორეც უზურპატურ ნიადაგზედ არის აგებული და არა სამართლიანობაზე. ამნაირათ უეჭველია გამარჯვება ხვდება წილად ბურჟუაზიას, რომელიც ითამაშებს მეუფების როლს და თვისი რეფორმებით გაანელებს ერთის მხრით, გადამეტებულ ყლაპიობას კაპიტალისას, და მეორეს მხრით ზედმეტ გაღატაკებას ე. ი. გაპროლეტარებას. ასეთია ახლო მომავალი. ხალხთა ლიგა, ერთად ერთი საშუალებაა დაიცვას სუვერენიტეტი ცხოველყოფილ ერისა და ჩვენ დარწმუნებული ვართ საქართველოც, როგორაც ცხოველი და კულტურის მატარებელი ერი, იქნება მიღებული ამ კონორციუმში თუ ჩვენ დროზე მივხედავთ ჩვენს საკუთარ ინტერესებს.

ვ. ზექაია.

## ახალ კათალიკოზს.

ძლიერ მძიმე პირობებში უხდება მსახურება და „ტვიროვის—ტვირთვა“ მათ უწმინდესობას, ლეონიდს.

ეკლესია ყველა მხრივ შევიწროებულია, მისი მსახურნი პატივ აყრილნი, მას ერთი სასწავლებელიც არა აქვს ქონებრივად უნუგეშო...

ძნელი ტვირთია კათალიკოზობა—გოლგოთის ჯვარია...

ჯვრის ქვეშ ქრისტე დაეცა—კვირინელი შეეწია...

კირიონი დაეცა, მაგრამ არ გამოჩნდა კვირინელი, არ გამოჩნდა ისეთი ადამიანი მთელ საქართველოში, ვიზედაც შესძლებდა დაყრდნობას—უფსკრულისკენ მიმავალ ეკლესიის გემის საჭეთ-მპყრობელი...

და ჰა გემი დაიღუპა და იმსხვერპლა საჭეთ—მპყრობელიც... და არაფერი საკვირველი არ იყო:-რაც მოხდა ესე უნდა მომხდარიყო.

განა რამდენი მლოცველი გვყავდა, რომ თავის მხურვალე ლოცვით გადაერჩინა გემი...

წინაპართა ხელით მიერ ანთებული გაუქრობელი ლამპარი ჰქრება... გაწყდა ძაფი რომელიც აერთებდა ძველ და ახალ საქართველოს, რომელიც ენერგიას უნერგავდა, ძალას და ღონეს მატებდა და აძლევდა ჭირში მოთმინებას...

ათჯერ მეტი შრომა და უნარი გმართებს მათ უწმინდესობას, რომ ეკლესია განამტკიცოს, მისი ავტორიტეტი აამაღლოს ძველ საძირკველზე აავოს ახალი საყდარი გააბას ძაფი ძველთან და დისციპლინა აღადგინოს მსახურთათვის...

ბრძოლაში, როგორც ჯარში, თუ დისციპლინა არ არის, შეუძლებელია გამარჯვება—საჭიროა დისციპლინა ლვდლებშიც და ბერებშიც, რადგანაც უბრალო ჯარის-კაცნი არიან ისინი რომ ეკლესია არ დამარცხდეს ბრძოლაში...

საჭიროა შექმნას აპოლოგეტიკა... ფარ-ხმლად მიეცეს ეკლესიის ჯარს სიტყვა, თოფ-იარაღათ კალამი...

ძნელია ეს საქმე. ტანჯვაა და წამებაა ვის უნდა დაეყრდნოს ვის უნდა აჰკიდოს ჯვარი მამათ-მთავარმა, როცა დაილლება?—

Deus scit—non scimus!

ვ. ფ.

## გიშრის ღამეში...

გიშრის ღამეში შეუფლება სევდა ფიქრიანს,
ცეცხლის რგოლებად ამენთება მწუხრის მირაჟი,
მზის მაყრიონებს მე მოველი ჭით გარიჟრაჟი...
ფიქრთა ლეშები, ნაწამები სადღაც მიჰქრიან...

ჰშუნვის ჭსელებში იწვის წამი და იბანდება,
სევდიან ლანდებს მირეკავენ ფერფლებად ქცეულთ,
გამხდარი ქუჩა მიასვენებს იმედებს მსხვრეულს:
„დღეს ერთი მოკვდა“, ხვალ მეორე დაიბადება“.

კოშმარი შეფოზს შავ ღამეში გიჟი და ცხელი
მწუხრის რკალებად იბნევიან ღამის ფიქრები
მოიბნევიან ურიცხვდოთ სულის ფიფქები...
გულს ჩაიქსოვა ლხენის ღმერთმა ომი ფიცხელი.

გარიჟრაჟისას ღამეს მოჰკლავს ბროლის სანთელი
გიშრის ღამეში თეთრი ფურცლით მიიჩრდილება...
ფიქრთა ლეგიონს ჩუმ ლოცვაში მიეძინება...
ამარადისებს ზღაპრულ ლოცვანს დილის ნათელი.

ლ. გუგუშვილი.

თებერვალი.
1919 წ.
თფილისი.

## ახალციხის ფრონტზე.

### ვ.

(პირადი შთაბეჭდილებანი).

უკანასკნელი ცდა სოციალ-დემოკრატ „მოღვაწეთა“ ახალციხეში, იმაში გამოიხატა, რომ მათ მოკრიფეს ადგილობრივი მცხოვრებლებ, რომელიც, რამდენიმე კაციდან შესდგებოდა და ფრონტზე გაისტუმრეს, მათ ეგონათ, რომ რაკი სახალხო გვარდიის სახელით მონათლეს ახლად შედგენილი მცირერიცხოვანი, რაზმი ქვეყანას იხსნიდენ განსაცდელისაგან. ახალციხის ბედი თანდათან დასასრულისკენ მიიწევდა და უკვე 11 თებერვალს ყველასათვის აშკარა გახდა ქალაქის საშიში მდგომარეობა. ქალაქს დილიდანვე მკვდრულ, ფერი ედვა. ყველა გრძნობდა, რომ საქმე ცუდათ ბოლოვდებოდა. ქ. ახლო მაღლობებიდან მტერი მოსალოდნელი გახდა. ქალაქის და საზოგადოთ მაზრის „ბატონ-პატრონთ“ არ უფიქრით ქალაქის ევაკუციაზე. ქალაქათ დარჩენ არამც თუ ადგილობრივი მცხოვრებნი, არამედ ის უდე-არალიდან და ფარეხიდან ლტოლვილებიც კი, რომელნიც რამდენიმე დღის წინად შეარაღებულ წინააღმდეგობას უწევდა მტერს და ხსენებულ სოფლებიდან ლტოლვილნი ქ. ახალციხეს შეეფარენ. მათ ეგონათ, რომ ჩვენი მთავრობის რწმუნებული მზრუნველობით მოეპყრობოდათ და გააფრთხილებდათ მაინც, რომ ქალაქში არ დარჩენილიყვნენ მტრის შემოსვლის დროს. მაგრამ არაფერი ამგვარი არ მომხდარა. პირიქით მათვისაც ვისაც ებარათ ხალხის ბედი, მხოლოდ თავისი თავი გადაარჩინეს და ხალხი კი, დასტოვეს მტრის ხელში. 11 თებერვლის საღამოს 4—5 საათზე ჯარის სხვადასხვა ნაწილებმა უკვე იწყეს უკან დახევა. აშკარა იყო, რომ აურაცხელი ქონება მტერს ხელთ უვარდებოდა, მაგრამ ამაზე ამ განსაცდელის ჟამის კი არა, როცა დრო იყო და გარემოებაც ხელს უწყობდა არავის არ უფიქრია. ჩვენ არაფერს ვიტყვით იმ სამხედრო მასალაზე, რომელიც ყოველ დამარცხებასთან ერთად იღუპება, ხოლო არ შეიძლება გულის ტკივილით არ აღინიშნოს ის აუარებ ელი სახელმწიფო სიმდიდრის დაკარგვა, რომელიც ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ბიუროში დარჩა. ყველამ იცის, რომ ბ-მა ლეო რუხაძემ რამდენიმე ასი ფუთი შაქარი ჩამოიტანა ახალციხეში ჯითომ და ხალხისთვის, აგრეთვე ნავთი, პური და სხვა თეთრეულება, რაც მხოლოდ და მხოლოდ სოციალ-დემოკრატ „მოღვაწეთა“ წყალობით დაიკარგა. მომენტი რომ, სერიოზულ ხასიათის იყო ეს რამდენიმე დღით ადრე იყო საგრძნობელი ყველასათვის და ბ-ნ რუხაძეს აზრათაც არ მოსვლია, რომ ეს მის მიერ ჩაზიდული სახელმწიფო ქონება მაინც გამოესწრო.

მცირე ნაწილი მცხოვრებლებისა, რომელიც ნაგვიანევად გაიგეს ახალციხის მდგომარეობა თან გამოჰყვა უწესრიგოდ უკანდახეულ ჯარს. საშინელი და აუტანელი იყო მათი მდგომარეობა. ბევრი მათგანი, რომ მხოლოდ სიცოცხლე შენარჩუნებიათ სტოვებდენ ყველაფერს. ხშირი შემთხვევა იყო, რომ გზაში ნახავდით ქალებს ხელში ბავშებით, რომელნიც უსაყვედურებდენ ჩვენს მთავრობას და მათ წარმომადგენელს ახალციხეში, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩაყარა იგინი. 49 ვერსის მანძილზე ახალ-ციხიდან ბორჯომამდის გაისმოდა კვნეს—ტირილი ხაბრალო უდანაშაულო ბავშებისა დ ქალებსა. ბევრი მათგანი მსხვერპლი გახდა გზაში უთავბოლოდ სროლისა. ქართულ სოფლელებს კი პარლამენტის წევრი ცინცაბაძე ურჩევდათ რომ „სახალხო გვარდიაში ჩაეწერეთ და საქმესაც გამოვასწორებთო“ მაგრამ რამდენათ გამოასწორა ჯარის მოძულე და სახალხო გვარდიის მოთაყვანე ცინცაბაძე—რუხაძე—აბაშიძემ ახალციხის მდგომარეობა, ამას უკვე ვხედავთ. ახალციხე—ახალ-ქალაქის ბედი გადასწყვიტა მხოლოდ—და მხოლოდ ასეთმა უებარმა სოციალ-დემოკრატ. „პოლიტიკოსებმა“ და გაუხადა იგი ქართველ ერს თავსატეხ საკითხად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ უპასუხისმგებლო „რწმუნებულებს“ თუ მაზრის „კომისრებს“ გენერალ გუბერნატორის უფლებებში, რომ არ დაენდობოდეს ხელმეორედ მთავრობა გაცილებით ემჯობინებოდა.

მ. ლ.

## ბიბლიოგრაფია.

### „მეოცნებე ნიამორები*)“.

ქ. ქუთაისში გამოვიდა ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“. გადახედვისთანავე შეიძლება თქმა, რომ ჟურნალი პირწავარდნილი იგივეობაა „ცისფერი ყანწებისა“. იმავე ავტორებით, ლექსთა ნათესაობით, და იგივე პრეტენზიებით. სიახლე ხელოვნებისათვის მისაღებია იმდენად, რამდენადაც იგი ეროვნულ შეგრძნებათა და შემოქმედებითი წვის განცდათა უმაღლესობაში იქნება განსახიერებული. რომელიმე ხელოვნური ნაწარმოები რომ იკითხება, პირველ ყოვლისა მკითხველისათვის აშკარა უნდა ხდებოდეს, ამ ნაწარმოების იმ ერის ნებისყოფის ნათესაობა, რომელსაც ეკუთვნის ავტორი.

უოველგვარი მხატვრული შემოქმედება შიგ უნდა იტევდეს შემოქმედის თანამედროვე ეპოქის ყოველგვარობას.

ყოველი სტრიქონი ლექსისა უნდა მეტყველებდეს ჩვენში ქართულად. ლექსის ფორმა და შინაარსი ხელოვნების მხრივ მაშინ ფასდება, თუ იგი ქართული ხასიათასა და ქართულ ბუნებისაა ამ მხრივ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, მეტად უნუგეშოა.

ჩვენს ცხოვრებაში უკვე მოხდა, ლიტერატული რევოლუცია.

ეს რევოლუცია „ცისფერი ყანწებით“ იწყება. ცისფერი ყანწების პოეტები შეეცადენ ახალი ტრადიციის შექმნას, უარყვეს და დასწვეს ყოველივე.

იმედი ჰქონდათ, რომ გაიმარჯვებდენ და ამიტომ ყოველთვის პრეტენზიებს აცხადებდენ თავიანთ განუსაზღვრელ უფლებებზე საქართველოსათვის. პაოლო იაშვილი პირველთაგანი იყო ლიტერატურული რევოლუციის მოხდენის საქმეში.

მაგრამ ძველის ამფეთქებლებთ და ახალი ღმერთის მაძიებელთ საქართველოში, არც თუ ისე გამარჯვება რგებიათ.

ეს იმიტომ, რომ მათი შემოქმედება არ არის დაკავშირებული საქართველოს ნებისყოფასთან და მათ ლექსებში ვერ არის ამეტყველებული ქართული ცხოვრების სხვადასხვაობა.

„ცისფერი ყანწებით“ ჩვენ ვკითხულობთ: „ვერ-ხარნს“, „ბოდლერს“, „ბალმონტს“, „ვერლენს“, „ა. ბლოკს“ „ლაფორგს“, „გოტიეს“ და სხ.

გვესმის უცხოელ პოეტების სახელები: „ანდრეი ბელი“, „ვიაჩესლავ ივანოვი“. „ცისფერ ყანწებში“ მეტყველებენ: პარიზი, პეტერბურგი, ევროპის კაფეები და არა ქართულსახეობა, არა საქართველოს ნებისყოფა. ამ ნაკლს ალბათ გრძნობენ „ცისფერი ყანწების“ ავტორები და მიტომაც მოუხშირეს ერთმანეთის ქება—განდიდებაზე ლექსების წერას.

უკანასკნელად იბეჭდება მათი ხაალბომო ლექსები სათაურებით: „პაოლო იაშვილს“, „ტიციან ტაბიძეს“ „ვალერიან გაფრინდაშვილს“ („ოფელის ორდენის კავალერს“.) „კოლაუ ნადირაძეს“ და სხ. ეს უკვე იმას მეტყველებს, რომ ამ ლიტერატურულ პირველ რევოლუციონერების შემოქმედება საბოლოოთ ამოწურულია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბ-ნ გრიგოლ რობაქიძეს.

რობაქიძის ლექსი „უალდი პარიზში“ რომლითაც იხსნება ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“ დაწერილია ჭეშმარიტი განცდით, ლექსი შიგ იტევს ფორმის მხრივ მრავალ სიახლეს და წაკითხვის დროს ხედავთ, რომ იგი დაწერილია ქართულის ხელით. თემა და თვით სათაური უცხოურია მაგრამ, ყოველი სტრიქონი ლექსია ამეტყველებულია ქართულად. რიტმი და შინაგანი მხარე ლექსისა განაპედია ფოლადით.

ყოველი რითმა, თუ ასსონანსი ლექსში ორგინალური და ახალია: „სმარაგდი“—„მარადი“—; მარმაში—გამაში—ქერუბიმს—ქიმერებს —; ხალისი—ხვალისა რასსა—რასა—; უალოდეს—უალდის“—და სხ.

ლექსში თვითეული ხელის გაქანება ჰქმნის მეტად ლამაზს ქართულ სახეებს: „ნაოოთქლი მინები—ხეირი მარადი „იხრჩობა ქეიფით სირუხე ხვალისა—;

მოჟღალთ თვალი სიგიჟეს ატარებს;—
ორპოლი ღიმილით ლხენის მთოვარე—;
მზერაში უბრწყინავს ახალი რახა—;
ეტყობა უდრდელს არას დაგიდევს—;
ზოგი თუ რას იტყვის და ზოგი რახა—;
...და მეგაზეთე ქუჩაში გარბით,—ხმამაღლა ჰყვირის—ლანდი უალდის.

დანარჩენ „ყანწელთა“ ლექსები ქართულ ხახიათს არ ატარებს და რაიმე ახალი ინტერესსაც არ იწვევს.

„ოფელიას ორდენის კავალერს“—პაოლო იაშვილი „პეტერბურგი“—ტიციან ტაბიძე „მისტიური მარულა“ ვალერიან გაფრინდაშვილი და სხ.

„ცისფერი ყანწები“-ს პოეტთა გარდა, ჟურნალში მონაწილეობენ ახალგაზრდა პოეტები „აისიდან“ შალვა კარმელი და რაჟდენ გვეტაძე. ამათზე უნდა ითქვას, რომ მეტი სიფრთხილე სჭირდებათ ლექსების წერის დროს, რომ საბოლოოდ მსხვერპლად არ გახდენ „ცისფერი ყანწებისა“. შ. კარმელს და გვეტაძეს არც თუ ისე ახასიათებსთ წამბაძველობა. ამიტომ უნდა ეცადონ საკუთარი გზის მონახვას, რადგან ეხერხებათ ლამაზათ წერა, შეუძლიათ ახალი რამის თქმაც.

აქვე დაბეჭდილია შალვა აფხაიძის წერილი „ქართული პოეზიის მომავალი პერსპექტივები“. წერილი ასე თავდება „სიმბოლიზმი ამაყი სიტყვით შეადუღებს ჩვენში პაოლო იაშვილის კერპთთაყვანისცემის პანტეიზმს. და ვალერიან გაფრინდაშვილის ქრისტიანულ სიღრმეს. და თუ მართლაც დაღლილ დასავლეთს ეპირვება გადახალისება აღმოსავლეთის მისტიციზმით და მაგიურ ქვებით, ამას შესძლებს უეჭველად გამოცდილი დოსტაქრი—საქართველო“. ეტყობა ახალგაზრდა ავტორი საბოლოდ მოქცეულა „ცისფერი ყანწების“. გავლენის ქვეშ და ქართული პოეზიის მომავალ პერსპექტივებს მხოლოდ „ცისფერი ყანწების“ ჭრელე ხმაურით ითვალისწინებს. ვალერიან გაფრენდაშვილის წერილი სონეტზე. „სონეტის პრობლემა“ ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს „ცისფერ ყანწების“ გადაჭარბებულ პრეტენზიებს ამა თუ იმ სახით...

ლადო მაჭავარიანი.

თფილისი.
მარტი.

*) ესტეთიურ საკითხებში „კლდის“ რედაქცია სხვადასხვა შიმართულების წერილებს მისცემს ადგილს.

## ჩვენი პარტია.

### სტუდენტთა ორგანიზაცია.

ორშაბითს, საღამოს 6 საათზე „კლდის“ რედაქციის ბინაზე დანიშნულია ეროვნული პარტიის თანამოაზრე სტუდენტ ვაჟთა და ქალთა კრება.

### მოწაფეთა ორგანიზაცია.

სამშაბათს, საღამოს 7 საათზე „კლდის“ რედაქციაში, დანიშნულია თფილისის საშუალო სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობის კრება.

ორივე კრებაზე მომხსენებელია გ. ვეშაპელი.

— —

### წევრთა რეგისტრაცია.

თფილისში მყოფ თანამოაზრეთა პარტიაში ჩაწერა სწარმოებს კომიტეტში („კლდის“ ბინაზე) დილის 10 საათიდან 3 საათამდის.

— —

პროვინციის ორგანიზაციებს ევალებათ მოახდინონ საჩქაროდ სრული რეგისტრაცია თავიანთი წევრებისა და სიების ახლი გამოაგზავნონ მთავარ კომიტეტში.

პროვინციის ყველა ორგანიზაციებს ევალებათ დაუყონებლივ მოაწყონ თავიანთი რაიონიდან კორესპონდენციების გზავნა პარტიის ორგანოში (გაზეთ „კლდეში“). სადაც "ორგანიზაცია არ არის „კლდის“ რედაქცია ხთხოვს პარტიის წევრთ და თანამოაზრეთ მოგვაწოდონ კორესპონდენციები. ადგილობრივი ცხოვრების შესახებ;

მუდმივ კორესპონდენტებს გაზეთი „კლდე“ უფასოდ გაეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკანასკნელი ცნობები

## უცხოეთის ამბები

### სააგენტოს ტელეგრამები

უკრაინის ქალაქ პროსკუროვში მოხდა საშინელი დარბევა ებრაელებისა, მოკლული და დაჭრილია 300 კაცი.

— —

ადესაში მოკავშირეთა სამხედრო მატარებელს უუმბარა ესროლეს მოკლულია ორი ფრანგი ჯარისკაცი.

— —

უკრაინის ბალშევიკური მთავრობის საზავო დელეგაცია, რომელიც პარიზში ხმელეთით მიემგზავრებოდა, შვეიცარიის საზღვარს იქით არ გაუშვეს.

— —

სპარტაკის ახალი აჯანყების ჩაქრობის დროს ბერლინში 40 მილიონის შენობები და სამრეწველო დირებულებაა მოსპობილი.

— —

გერმანიის მუშების საყოველთაო გაფიცვის ერთ-ერთი მოთხოვნილება რუსეთის ბალშევიკურ მთავრობასთან შეკავშირება არის.

— —

დროებით ზავის დროს გერმანიის სავაჭრო ფლოტი მოკავშირეთა კონტროლისა და ბაირაღის ქვეშ ივლის.

— —

პარიზში ამზადებენ ბინას გერმანიის საზავო დელეგაციისთვის.

— —

გერმანიაში აარსებენ საგანგებო საემიგრაციო უწყებას, რომელიც მოაწყობს გერმანელების გადასახლებას რუსეთსა და სამხრეთ ამერიკაში.

— —

მესოპატამიაში ინგლისი თვითმართველობას აწყობს.

— —

საზავო კონფერენცია აღიარებს ფორმალურად ინგლისის პროტექტორატს ეგვიპტეზე.

— —

ინგლისი ახალ ზომებს იღებს თავის სახელმწიფოში უცხოელთა შემოსვლის შესაზღუდავათ.

### კერძო ცნობები

ადესაში მყოფ ფრანგ-ინგლისელთა ჯარში დიდი ბალშევიკური აგიტაცია სწარმოებს... რუსის ბალშევიკებს საგანგებო აგიტატორებად ქალები გამოუგზავნიათ... მოკავშირეთა ჯარები უარს ამბობენ ბალშევიკებთან ბრძოლაზე; მათ წინააღმდეგ მარტო ბერძნების ჯარი იბრძვის.

## საქართველოს ამბები.

### საქართველოს ბიუჯეტი.

საქართველოს სახელმწიფო ხარჯები (ჩვეულებრივი) ყოველთვე 48,500,500 მანეთს უდრის.

აქედან ყოველთვე პარლამენტზე იხარჯება 174,045 მ. მთავრობაზე—77,415 მან.

შინაგან საქმეთა სამინისტროზე—4,920,762 მან.
ფინანსთა სამინისტროზე—729,101 მან.
იუსტიციის სამინისტროზე—1,522,143 მან.
საგარეო საქმეთა სამინისტროზე—80,482 მან.
სასურსათოზე—2,306,417 მან.
გზათა სამინისტროზე—9,747,835 მან.
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროზე—307,720 მ.
მიწათმოქმედების სამინისტროზე—741,637 მან.
შრომის სამინისტროზე—26,733 მან.
სამხედრო სამინისტროზე—27,676,285 მან.
(აქედან 4 მილ. გვარდიაზე).
სახელმწიფო კანტროლზე—190,425 მან.

— —

### ოვ. თუმანიანის იუბილეს გამო.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციამ ოვანეს თუმანიანისაგან. სამადლობელი დეპეშა მიიღო იმ მისალმების გამო, რომელიც მას რედაქციამ გაუგზავნა ტიციან ტაბიძის პირით.

## დ ღ ე ს.

ქალაქის საბჭოს სხდომაა (საღამოს 8 საათზე).

— —

ქართველ ინვალიდთა კავშირის საღამოა (სახელმწიფო თეატრში).

